

შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობა	8
საქმიანობის შედეგები	11
ფულადი სახსრების მოძრაობა	15
განმარტებითი შენიშვნები	16

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო G E O R G I A

ინდივიდუალური აუდიტორი და ქონების შემფასებელი თამაზ ბუკია

პ/ნ: 19001054047

INDIVIDUAL AUDITOR AND PROPERTY

APPRAISER TAMAZ BUKIA

P/N: 19001054047

SARAS-A-807255/www.saras.gov.ge/ №A-0597 www.certification.org.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დირექტორს

მოსაზრება

ჩვენ მოვახდინეთ შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და შენიშვნებს, რაც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებელსა და ფულად ნაკადებს

**ქ.თბილისი, გლდანი, ვეკუას №1, ოფისი 82. Tbilisi, Gldani 1 M/R, Vekua №1, Office N: 82. t.bukia1960@gmail.com
(+995) 577 54 17 58, (+995) 591 95 24 24**

ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ, აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხისთვის განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით, შესაბამისად, აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. აუდიტის პროცედურების, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ფასუძველს.

ხელმძღვანელობის ანგარიში (მმართველობითი ანგარიშგება)

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშის“ (მმართველობითი ანგარიშგება) სწორად და უტყუარად შედგენაზე. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშის“ განსაზღვრას არის თუ არა, წარმოდგენილი „ხელმძღვანელობის ანგარიში“ არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

„ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვისას, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით:

- შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობას;
- მოიცავს თუ არა ის ბუღალტრულ აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ყველა ინფორმაციას.

მოსაზრება

წარმოდგენილი „ხელმძღვანელობის ანგარიში“ (მმართველობის ანგარიშგება) შესაბამისობაშია მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში და სრულ თანხვედრაშია საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმის შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით, და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებული უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის

გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობების ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაზე თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულველყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით განსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში,

ქ.თბილისი, გლდანი, ვეკუას №1, ოფისი 82. Tbilisi, Gldani 1 M/R, Vekua №1, Office N: 82. t.bukia1960@gmail.com

(+995) 577 54 17 58, (+995) 591 95 24 24

რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეფუძვნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებასა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ინდივიდუალური აუდიტორი თამაზ ბუკია

02 სექტემბერი 2019 წ.

ფინანსური მდგომარეობა

ლარში

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2 272 891	1 945 416	1 153 474
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები			
მოთხოვნები ბანკების მიმართ			
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები			
წარმოებული ფინანსური აქტივები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გადახდილი ავანსები	19 884	19 829	19 368
გაცემული სესხები			
სესხების გაუფასურების ანარიცხი			
მიმდინარე მარაგები	131 665	146 732	79 366
გრძელვადიანი მარაგები			
სავაჭრო მოთხოვნები	26 280	50 537	19 023
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები			
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან			
საინვესტიციო ქონება			
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებს			
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ			

საწარმოებში			
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			
გადავადებული პგებოს გადასახადის აქტივი			
სხვა საგადასახადო აქტივი	189 363	205 195	233 292
ბიოლოგიური აქტივები	1 811 204	1 737 933	1 954 378
სხვა მიმდინარე აქტივები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15 958 040	16 110 394	16 233 965
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები			
სულ აქტივები	20 409 327	20 216 036	19 692 866
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქარაღები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	41461		
სხვა ფინანსური ვალდებულებები			
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება			

გამოუმუშავებელი შემოსავალი			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	288 977	213 845	212 649
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
მიღებული გრანტები			
სუბორდინირებული სესხი			
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	330 438	213 845	212 649
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალი“)	19 649 783	19 658 656	19 658 656
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
წილობრივი გადახდის რეზერვი			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	429 106	343 535	(178 439)

სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	20 078 889	20 002 191	19 480 217
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20 409 327	20 216 036	19 692 866

საქმიანობის შედეგები

ლარში

	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	3 999 019	3 813 426
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	298 120	84 043
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		
გამოყენებული ნედლეული და მასალები		287 470
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	1 816 793	1 517 095
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	14 732	3 538
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	4 980	
საკონსულტაციო ხარჯი		
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		

სარეიტინგო მომსახურების ხარჯი		
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	142 488	135 616
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	372 663	360 071
იჯარის ხარჯი	4 576	5 080
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	197 446	210 504
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	515 338	688 035
საოპერაციო მოგება	631 883	521 974
გაუფასურების(ხარჯი)/რევერსირება:		
გაცემულ სესხებზე		
სავაჭრო მოთხოვნებზე		
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე		
სხვა ფინანსურ აქტივებზე		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქარაღებიდან		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება (ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		

წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს		
წმინდა შემოსულობა/ (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან		
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან		
გაუფასურების(ხარჯი)/რევერსირება სხვა აქტივებზე		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან		
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
წმინდა მოგება/(ზარალი)უცხოური ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		
სხვა ფინანსური შემოსავალი		
სხვა ფინანსური ხარჯი		
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		

შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი):		
შემდგომი რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები(დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/ გათვალისწინებით):		
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან		
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში		
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი		
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:		
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში		
უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების წილი		
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		
საბაზისო/(ზარალი) ერთ აქციაზე:		

განგრძობითი ოპერაციებიდან		
შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
გაზავეებული მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან		
შეწყვეტილი ოპერაციებიდან		

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 505 046	4 180 518
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	4 177 571	3 388 576
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	1 945 416	1 153 474
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2 272 891	1 945 416

განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „შავიზღვისფლორისადაფაუნისშემსწავლელისამეცნიეროკვლევითიცენტრი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მარეგისტრირებული ორგანო ბათუმის საგადსახადო ინსპექცია. საიდენტიფიკაციო კოდის (ს/კ 245626443) მინიჭების თარიღია 2009 წლის 29 მაისი.

საზოგადოების დამფუძნებლებია:

- სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი – 100 %

ორგანიზაციის კაპიტალი შეადგენს 19 649 783 ლარს.

საზოგადოების ხელმძღვანელი დირექტორი.

ორგანიზაციის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, შოთა რუსთაველის ქ., №51

საზოგადოების მიზანია მოგების მიღება.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა: სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა-ზღვის ბინადართა მოვლა, წვრთნა, მათი განვითარების სრულყოფა და დემონსტრირება. ქალაქის მოსახლეობასა და სტუმრებისთვის ცხოველთა სანახაობრივი ღონისძიებების მოწყობა, სანახაობრივ-გასართობი პროგრამების ღონისძიებების შემუშავება -დეღეფინების შოუ-პროგრამა, ინტერაქტივი დელფინთან, სადემონსტრაციო აკვარიუმი, აკვარიუმის თევზების რეალიზაცია, კულტურული დასვენების ობიექტების ჩამოყალიბება და მომსახურება. სხვადასხვა სახეობის თევზების ყოლა, მოვლა-პატრონობა, მათი მრავალფეროვნებისთვის ზრუნვა, დემონსტრირება, პოპულარიზაცია და რეალიზაცია. დელფინარიუმის სარგებლობაში არსებული ტერიტორიის ფართის იჯარით გაცემა. ასევე, მას შეუძლია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიას“ საქართველოში კონკურენტი არ ჰყავს, ობიექტი გამოირჩევა უნიკალური პროდუქცია/მომსახურებით და მსგავსი ტიპის დაწესებულებისთვის ყველაზე მისაღები ფასით რეგიონში, რაც კიდევ უფრო ხელსაყრელია როგორც უცხოელი ტურისტისთვის ასევე ადგილობრივი ვიზიტორებისთვის. ტურისტულად აქტიური პერიოდებია ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ხოლო დანარჩენი პერიოდი განიცდის კრიზისს. კრიზისული პერიოდებში ვიზიტორთა მეტად გააქტიურებისთვის და მოზიდვისთვის ორგანიზაციის სტრატეგიული მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების დაინტერესება ფასდაკლების პრინციპით.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს), ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას:

- 2018 წელს „კომპანიამ“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავლშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები არ ფიქსირდება.

(ბ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც, პერიოდულად, ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება აუცილებელი „კომპანია“ ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამკომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მაშინ მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება, მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა:

შენობა–ნაგებობები	50 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	15–30 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5–15 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5–20 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის

დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(გ) არამატერიალური აქტივები

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, მომსახურების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

მომსახურების ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვებისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადისა და სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანია“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

(ვ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან

- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამორტიზირებული ღირებულებით არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობები მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის გამოყენების შედეგად მისი მაქსიმალური სარგებლით გამოყენების საფუძველზე, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს გამოიყენებს მაქსიმალური სარგებლით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1– იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2– ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

„კომპანია“ განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, „კომპანიამ“ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში „კომპანია“ განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან ხდება ფულადი სახსრების შემოღება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნილი ერთეული საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. ასეთი გარიგებების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება შეფასების სხვა შესაბამისი მეთოდი. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

„კომპანია“ გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის მეხუთე წლის შემდეგ.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ხორციელდება წინა პერიოდში აღიარებული ზარალის შეფასება, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებულ დაშვებებში ცვლილებებია შეტანილი. შებრუნება შეზღუდულია ისეთნაირად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, ასევე არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

(ი) გადასახადები

• მოგების მიმდინარე გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა :

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაზრებს, რომელთა დაფარვის თავადაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შემდეგ „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი.

(მ) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა.

შემოსავალი გარიგებებიდან მომხმარებლის მიერ გადაცემულ აქტივების გამოყენებით

როდესაც „კომპანია“ მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ერთეულს, იგი ჯერ აფასებს აკმაყოფილებს თუ არა ეს ერთეული აქტივის განსაზღვრებას. თუ „კომპანია“ დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი გადმოცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ერთეულად აღიარებს და თავდაპირველი აღიარებისას მის ღირებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით.

ფასიკ (IFRIC) 18-ის „მომხმარებლებისგან აქტივების გადმოცემა“ შესაბამისად, ასეთი ოპერაცია განიხილება შემოსავლების წარმომქმნელ ოპერაციად. „კომპანია“ ჯერ განსაზღვრავს მიღებული აქტივის სანაცვლოდ გაწეული მომსახურების სახეობას, შემდეგ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სრული ოდენობის სამართლიან ღირებულებას, ამის შემდეგ კი მომსახურების თითოეული სახეობისათვის გამოიყენება შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები.

(ო) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

ქ.თბილისი, გლდანი, ვეკუას №1, ოფისი 82. Tbilisi, Gldani 1 M/R, Vekua №1, Office N: 82. t.bukia1960@gmail.com
(+995) 577 54 17 58, (+995) 591 95 24 24

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარებით ჯერ ძალაში არ არის შესული, მოცემულია ქვემოთ. „კომპანია“ აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ საჭიროების შემთხვევაში.

ფასს (IFRS) 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9–ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასსს 39–ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9–ს ყველა წინა ვერსიას. ფასს 9

ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით, გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შესადარისი ინფორმაცია სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები ზოგადად პერსპექტიურად გამოიყენება, გარკვეული ლიმიტირებული გამონაკლისებით.

ფასს (IFRS) 15 “შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან”

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15–ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება

იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს–ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. „კომპანია“ აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისათვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. 2017 წლის განმავლობაში „კომპანიამ“ წინასწარ შეაფასა ფასს 15, რომელიც დაექვემდებარება ცვლილებებს უფრო დეტალური, მიმდინარე ანალიზის პროცესში, გარდა ამისა, „კომპანია“ ითვლისწინებს ბასსს–ის მიერ 2016 წლის აპრილში გამოქვეყნებულ განმარტებებს და თვალს ადევნებს სიახლეებს.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა– ცვლილებები ბასს (IAS) 7– ში

ბასს 7–ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ ცვლილებები შევიდა ბასსს–ის „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას. რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხარებლებს საშუალებას მისცემს

შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილებების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა.

ცვლილებების დანერგვების შედეგად „კომპანია“ დამატებით წარმოადგენს განმარტებით შენიშვნებს.

ფასს (IFRS) 16 იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირდება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯირისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთი საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით

ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულებები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე.ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლებიხანით) საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთი ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულებების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას. საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 –ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული

ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

„კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

(ა) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები

„კომპანიამ“ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება „კომპანიის“ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისთანავე.

10. მოგების გადასახადი

(ბ) საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ განაწილებული მოგება, რომელიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებულ იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება,

არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებასა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ინდივიდუალური აუდიტორი თამაზ ბუკია

02 სექტემბერი 2019 წ.



შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

2018 წელი

ს/კ: 245626443

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად რეგისტრირებულია 2009 წლის 29 მაისს

იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი, შოთა რუსთაველის ქ., № 51

ფაქტობრივი მისამართი: ქ.ბათუმი, შოთა რუსთაველის ქ., № 51

დირექტორი: დავით ლეკვეიშვილი

ტელ: 577 544 450

შინაარსი

1. დირექტორის მიმართვა
2. საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. საზოგადოები სგანვითარების პერსპექტივები.
4. სოციალური და დასაქმების საკითხები.
5. დამფუძნებელთან ურთიერთობის ანგარიში
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

დირექტორის

მიმართვა

შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორად ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №689- საფუძველზე დანიშნული ვარ 2014 წლის 17ოქტომბერს.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის საერთო სტაჟი **14** წელია.

შედარებისათვის წარმოგიდგენთ 2009 და 2018 აქტივებისა და კაპიტალის ზრდის მაჩვენებელს:

2009 წლის ბოლოს ბალანსით აქტივების საერთო ღირებულება შეადგენდა 330 182 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 317 420 ლარს

2018 წლის ბოლოს აქტივების ღირებულება შეადგეს 20 409 327 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 20 078 889 ლარს.

საწარმოს წარმატებები გარკვეულწილად უკავშირდება გამოცდილ პროფესიულ კადრებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით ორგანიზაცია ცდილობს მოიზიდოს ახალგაზრდა კადრები, რომლებიც თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

.

საზოგადოების დირექტორი

საქმიანობის ანგარიში:

საზოგადოების მართვა

შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დამფუძნებელია სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, რომელიც ფლობს წილის 100 %.

ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.

საზოგადოების დამფუძნებლის გადაწყვეტილებით 2014 წლის 17 ოქტომბერს დირექტორად დანიშნულ იქნა დავით ლეკვეიშვილი დაბადების წელი 08.01.1972, საქართველოს მოქალაქე.

მართვის სტრუქტურა

..... დამტკიცებულია საწარმოს სტრუქტურა და საშტატო განრიგი, საწარმოს შინაგანაწესი. შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია დასაქმებულთა მიერ საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, დასაქმებულთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით განსაზღვრულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საწარმოს თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული და საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულისა და დამსაქმებლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

სანახაობრივი-გასართობი პროგრამების, სპორტული ღონისძიებების შეუშავება და რეალიზაცია, კულტურული დასვენების ობიექტების ჩამოყალიბება და მომსახურება.

მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების - ტყვეობაში მყოფი ცხოველების მოვლა -პატრონობა და მათი პოპულარიზაცია.

ქალაქის მოსახლეობისა და სტუმრებისთვის ცხოველთა სანახაობრივი ღონისძიებების მოწყობა.

სხვადასხვა ჯიშის თევზების ყოლა, მოვლა-პატრონობა, მათი მრავალფეროვნებისთვის ზრუნვა, დემონსტრირება და პოპულარიზაცია. ასევე რომელიც ნებადართულია კანონმდებლობით.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

მიმდინარე გეგმები:

საზოგადოება გეგმავს:

საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის აქტივებს საწარმოში, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოცემული მონაცემები:

1. აქტივების ზრდა 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით:

2009წ-330 182 ლარი 2018წ- 20 409 327 ლარი

2. დასაქმებულთა ზრდა 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

2009წ- 55 Stati.

2018წ – 95 Stati

3. შემოსავლების ზრდა 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

2009წ – 429 600 ლარი.

2018წ – 3 999 019 ლარი.

სოციალური და დასაქმების საკითხები

საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს, ხოლო სამსახურში მიღება ხდება გამოსაცდელი ვადით.

საწარმოს თანამშრომლებისთვის ვგეგმავთ ჯანმრთელობის დაზღვევასაც, მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიზანი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

დამფუძნებელთან (სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტთან) ურთიერთობის ანგარიში

დამფუძნებელთან საწარმოს ურთიერთობა საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად რეგულარულად და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს.

საწარმოს წესდების, შრომის შინაგანაწესის, საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ დამფუძნებლის პერიოდული ინფორმირება და ასევე წლიური ანგარიშების განხილვა პარტნიორული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი თემებია.

აღსანიშნავია რომ დღიდან დაფუძნებისა და მათ შორის საანგარიშო წელში შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 036 200 დაფინანსება.

მისი 50 %-ზე მეტი წილის/აქციების მუნიციპალური მფლობელობიდან გამომდინარე, ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონს. ნებისმიერი სახის მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობა შეძენილია ერთპირთან მოლაპარაკებით, გამარტივებული ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.

დამფუძნებელთან ურთიერთობის ანგარიში

გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში) უნდა წარუდგინოს დამფუძნებელს

მომდევნო საანგარიშო წლის "საპროგნოზო ხარჯთაღიცხვის" მომზადება და დამფუძნებელთან შეთანხმება .

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციისათვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:

- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (კვარტალური, წლიური) ინვენტარიზაცია.
- კონტროლდება ავტომანქანის საწვავის წვის და ავტომანქანის მოძრაობა.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიური შედარება ბუღალტრულ მონაცემებთან.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში მუდმივად გვაქვს სათანადო რაოდენობის ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)

შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამახასიათებელია შემდეგი სახის რისკები:

- დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- შრომის უსაფრთხოება;
-
-
-
-

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა კონტროლის მექანიზმით ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

.....

დავით ლეკვეიშვილი

დირექტორი

- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (კვარტალური, წლიური) ინვენტარიზაცია.
- კონტროლდება ავტომატური საწვავის წვის და ავტომატური მოძრაობა.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიური შედარება ბუღალტრულ მონაცემებთან.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში მუდმივად გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)

შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამახასიათებელია შემდეგი სახის რისკები:

- დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- შრომის უსაფრთხოება;
-
-
-
-

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა კონტროლის მექანიზმით ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

.....
 დავით ლეკვიშვილი
 დირექტორი

